საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/63

29 აგვისტო, 2017 წ. ქ. ბათუმი

2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებამოპოვებულ აბიტურიენტთა რეგისტრაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის 19/ნ ბრძანების, „ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ''ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილების, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017-2018 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის N38 დადგენილების და ,,2017-2018 სასწავლო წლის შემდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 29 აგვისტოს ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2017 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბსუ-ში) ჩარიცხვის უფლების მქონე აბიტურიენტთა რეგისტრაცია - თანდართული ელექტრონული ანკეტის (დანართი 1) და ხელშეკრულებების გაფორმება განხორციელდეს მიმდინარე წლის 30 აგვისტოდან 8 სექტემბრის ჩათვლით.

2. აბიტურიენტთა რეგისტრაცია განხორციელდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით შემდეგ მისამართებზე:

ა) **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე:** ბიოლოგია, ეკოლოგია, გეოგრაფია, ქიმია, ზღვის ბიოლოგია, ფარმაცია, ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია, მედიცინა, სტომატოლოგია **(მისამართი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №310);

ბ) **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე:** ქართული ფილოლოგია, ისტორია, ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია,

რუსული ფილოლოგია, თურქული ფილოლოგია, თარგმანმცოდნეობა, ფილოსოფია, თურქეთისმცოდნეობა (**მისამართი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, II კორპუსი, ოთახი №224);

გ) ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე: მათემატიკა, ფინანსური მათემატიკა, ფიზიკა, კომპიუტერული მეცნიერებები, (**მისამართი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №213);

დ) განათლების ფაკულტეტზე: დაწყებითი განათლება (**მისამართი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, II კორპუსი, ოთახი №117);

ე) იურიდიულ ფაკულტეტზე: სამართალმცოდნეობა (**მისამართი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №513);

ვ) ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე: ფინანსები, მენეჯმენტი, ეკონომიკა, საბუღალტრო და საგადასახადო საქმე, მარკეტინგი (**მისამართი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, II კორპუსი, ოთახი №412);

ზ) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე: ევროპისმცოდნეობა, ფსიქოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები (**მისამართი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, II კორპუსი, ოთახი №516);

თ) ტურიზმის ფაკულტეტზე: ტურიზმი (**მისამართი:** ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, ოთახი №121);

ი) ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე: მშენებლობა, ტელეკომუნიკაცია, ტრანსპორტი, სამთო და გეო-ინჟინერია, არქიტექტურა, აგრონომია, სასურსათო ტექნოლოგია, სატყეო საქმე, აგროინჟინერია (**მისამართი:** ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12, ოთახი №103);

3. რეგისტრაციისათვის აბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

ა) პირადობის მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);

ბ) ზოგადი განათლების დამადასტურებელი მოწმობის (ატესტატის) ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

გ) ფოტოსურათი 2 ცალი (3x4), ასევე სურათის ელექტრონული ვერსია (CD დისკი);

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისათვის);

ე) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. ბსუ-ს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყებამდე სწავლის უფლების მქონე პირი ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს პირველი სემესტრის სწავლის საფასური(შესაძლებელია ეტაპობრივი გადახდა, მაგრამ არანაკლებ **500** ლარისა - 2017 წლის **8** სექტემბრის ჩათვლით).

5. სწავლის საფასურის გადახდა იწარმოებს შემდეგ **რეკვიზიტებზე:** (მიმღების ბანკი - **სახელმწიფო ხაზინა**; მიმღების დასახელება - **ხაზინის ერთიანი ანგარიში**; ბანკის კოდი - **TRESGE 22**; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - **7 0901 7289** - **უმაღლეს** საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური); დანიშნულებაში უნდა მიეთითოს: სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაკულტეტი, სპეციალობა, კურსი).

6. იმისათვის, რომ გადახდილი სწავლის/კრედიტების საფასური ავტომატურად აისახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას ბანკში საბილინგო სისტემა. გადახდა ასევე

შესაძლებელია სწრაფი ჩარიცხვის აპარატებისა და ელექტრონული გადახდების სისტემებიდან.

7. აბიტურიენტთა რეგისტრაციის მიზნით, მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ უზრუნველყოფილი იქნეს აბიტურიენტებთან ხელშეკრულებების გაფორმება ,,2015-2016 სასწავლო წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 13 ივლისის N01-08/31 ბრძანების შესაბამისად და რეგისტრირებულ პირთა პირადი საქმების გახსნა.

8. ბსუ–ში აბიტურიენტთა ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს აბიტურიენტთა რეგისტრაციის შედეგების მიხედვით.

9. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე საჯარო გაცნობის მიზნით განთავსდეს ბსუ–ს საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე (ველში ,,სწავლა").

10. ბრძანება შესასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს სტუდენტის ანკეტის ელექტრონული ვერსია

ანკეტის ელექტრონული ვერსიის ყველა *-ნიშნით აღნიშნული გრაფის შევსება სავალდებულოა!**

შეიყვანეთ პირადი ნომერი:	დააჭირე	შეავსეთ ქართულად ☑

ფოტო სურათი უნდა იყოს 3X4 და JPG ფორმატში

Choose File No file chosen ***

მონაცემები სტუდენტის შესახებ

ფაკულტეტი:	
სახელი:	
გვარი:	
მამის სახელი:	
სქესი:	○ მამრ ○ მდედრ ***
დაბადების თარიღი:	--- 1 1 ***
დაბადების ადგილი:	***
გაქვთ თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება?	---------- ***
საცხოვრებელი ადგილი(პირადობის მოწმობის მიხედვით)	***
საცხოვრებელი ადგილი(ფაქტობრივი)	
ტელეფონი (ბინის) :	
ტელეფონი (მობილური)	***
ელ-ფოსტა:	

სტუდენტის პირადობის მოწმობა

მოქალაქეობა:	***
პირადობის მოწმობის №	***

სტუდენტის ოჯახური და სამხედრო მდგომარეობა

ოჯახური მდგომარეობა;	***
სამხედრო მდგომარეობა:	***

სტუდენტის საბაზო განათლება

რომელი საშუალო სკოლა, კოლეჯი, ლიცეუმი დაამთავრეთ:	*** (მინ. 4 სიმბოლო)
ატესტატის ნომერი:	*** (მინ. 5 სიმბოლო)
რომელ ენებს ფლობთ:	

სტუდენტის უნარები

რა სპორტულ უნარებს ფლობთ:	
რა უნარებს ფლობთ (ხატვა, სიმღერა, ცეკვა და სხვა)	

ანკეტის შევსება